



# აკრილს დაიწყო და 17 აკრილადე გაბაკელებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი პოლიტიკური კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. ამ პროგრამით გასულ კვირას, 3 აკრილს, რესპუბლიკაში ყველგან გატარდა გასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. კრივლთა მოქრის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტუდენტთა გიგანტური თამაშები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს სსრ შიგნითი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
 ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ  
 5 აკრილი, სამშაბათი, 1988 წ. № 66 (9788) • ფასი 3 კაპ.  
 გავომდის 1934 წლის 13 აკრილიდან



3 აკრილს კუს ტაჯა სახეივოდ გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (ახ. მე-2 გვ.)

## სტარტი იღო სტუდენტთა გიგანტურმა თამაშებმა

კალათბურთი • უნივერსიტეტი - სპი

რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე სტუდენტთა გიგანტური თამაშების "შტაბის წევრები კალათბურთელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულების გამოსავლენად ძველისძველ საანგარიშოს მოიმარჯვებდნენ,



საქმეში უახლესი ტექნიკა ჩაერთა. ამბობენ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის პირადი განკარგულებით კათედრათა სამმა გამგემ ალბათობის თეორიით გამოთვლილი მანქანების დახმარებით აბსოლუტური სიზუსტით გამოთვალა... როგორ უნდა მოიპოვო გამარჯვება. შეიძლება ეს სულაც ხუმრობა იყოს, მაგრამ სტუდენტთა-პოლიტექნიკოსებმა ხომ მართლაც გაიმარჯვეს...

ჩვენთვის კი, შტაბის წევრებისათვის, ერთადერთი ტექნიკური სიასლუ ტელეფონი გახლდათ. იგი ყოველ ხუთ წუთში გვახსენებდა თავს. გვირეკავდნენ ყველა იმ ოცი ბაზიდან, სადაც ტარდებოდა შეხვედრები კალათბურთში თბილისის ორ უმაღლეს სასწავლებელს — სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შორის. თავიდან, მართალია, სულ მცირე ხნით, წინ უნივერსიტეტელი ქალიშვილები იყვნენ. მაგრამ აი, ბრძოლაში ვაყვების 80 გუნდი ჩაება და სწორედ მაშინ იყო, რომ დაიწყო... თერთმეტი საათისთვის, 18 შეხვედრის შემდეგ, ანგარიში იყო 766:520 პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ, ერთი საათის შემდეგ, 29 შეხვედრის შემდეგ — 1218:620, ხოლო კიდევ ერთი საათის შემდეგ თითქმის ყველა შეხვედრა დამთავრებული გახლდათ და საქირო გახდა ხის ძველი საანგარიშოს მომწველი. 3149:1598 — ასეთი გასლავთ კალათბურთელთა ასი (!) შეხვედრის ანგარიში. მაშ ასე — გიგანტურმა თამაშებმა გადღა პირველი ნაბიჯი. ჯერჯერობით ანგარიშია 1:0 სპი-ს სასარგებლოდ, მაგრამ აბრისის შემდგომ სამ კვირა დღეს შედგება შეჯიბრებები ფრენბურთში, მინიფეხბურთსა და ცურვაში. სტარტი იმედისმომცემი გამოდგა. დიან, ჩვენ იმედით ვუყურებთ გიგანტური თამაშების მომავალს. იქნებ სწორედ ეს არის სტუდენტთა დასვენების საუკეთესო, უნივერსალური ფორმა. როგორც დგას ფრენბურთი.

## საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა

შაბათს და ახალგაზრდული თამაშები, საქართველოს და სსრ კავშირის ხალხთა სპორტკავშირები, XV ოლიმპიური თამაშების მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც 1988-90 წლებში ჩატარდება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, როგორც ცნობილია, შექმნილია ამ ასპარეზობათა ჩატარების, რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი. ამ დღეებში გაიმართა კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოში ზელმძღვანელორე საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი ველობროლის ჩატარების, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფისა და ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საკითხები. სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

## ინგა გილაური პირველი


ალმა-ათაში, „მედელს“ მაღალმთიან საციფურაოზე სტარტი იღო მოციფურავე ქალთა საკავშირო ჩემპიონატმა მრავალქილში. საუკეთესოდ გაიარა 500-მეტრიანი დისტანცია თბილისელმა ინგა გილაურმა, რომელმაც გაიმარჯვა შედეგით 42,38 წამი.

## დაგეგმილობა


კომპეტენტობისადმი კარგა ხანია ისე მომთხოვნი არ ყოფილა თვით ცხოვრება და საქმე, რომელსაც ვემსახურებით, როგორც დღეს. ეს ნებისმიერ სფეროს ეხება. კომპეტენტობა არ არსებობს საკითხებში ღრმა წვდომის გარეშე, არც ერთხელ შეძენილი ცოდნაა საქმარის ხამისხად, მით უმეტეს ახლა, როცა ახლებურად უნდა ვიპოვოთ და ვიმუშაოთ. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა, მისი ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა ძველებურად აზროვნებისაგან და, მაშასადამე, საქმესაც ძველმოდურად უძღვება. ასე ფეხს ვერ ავუწყოთ გარდაქმნას. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ერთიანი ორგანიზაციაა, რომლის თუნდაც ერთ უბანზე, ერთ რაიონში დაშვებული შეცდომა, გაუმიზნავი ნაბიჯი, თუ გნებავთ, არაკომპეტენტობა თანდათან გამოუსწორებელი ზარალით დაგვიბრუნდება. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას სპორტსახკომი და მისი ადგილობრივი რაიონები წარმართავენ. კარგად ვიცნობს, რომ ამ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი (სტარტების სიმცირე, მატერიალური ხელმოკლეობა და ა. შ.); მაგრამ განა ეს გვაძლევს უფლებას თავი დავიშვიდოთ? მიწვევებს გვეულებრივ იხინი იყენებენ! შირბად, ვისაც უნარი არ შესწევს გარდაქმნას და მუშაობაც გარდაქმნას, (საქმისხადმი დამოკიდებულება შეიცვალოს. ფიზკულტურის კომიტეტების სხდომები ადგილებზე იშვიათად ტარდება, კომიტეტის წევრთა დაუსწრებლად მიღებული დადგენილების აბსოლუტური უმრავლესობა შეუსრულებელი რჩება. რაიონული კომიტეტების თავმჯდომარე იმდენ თვითნებობას იჩენს, რომ თავს არიდებს სხვადასხვა თათბირებს, რესპუბლიკის სპორტსახკომის კოლეგიაზეც არ ცხადდება. სხვებზე რაღა ვთქვათ, როცა სულ ახლახან სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე აპირის, აფხაზეთის და ქუთაისის სპორტსახკომიტეტების თავმჯდომარეებიც კი არ გამოცხადდნენ. ფაქტშიც ჩანს ამ ხელმძღვანელების დამოკიდებულება საქმისადმი. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ცუდად მუშაობს ის, ვისაც არ უყვლია თუნდაც ერთი დღე კოლექტივის, აქტივის ანდოს საქმე. აპირის სპორტსახკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ (თავმჯდომარე შეუღებულმა იყო) ვ. კვაჭაძემ და ქუთაისის სპორტსახკომიტეტის თავმჯდომარემ დ. ფრუიძემ თურმე იმ დღეს, როცა კოლეგიაზე განიხილეს, დონისძიებები ვერ მიატოვეს. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა — სად იყვნენ სხვა თანამშრომლები, კომიტეტის წევრები? აფხაზეთის სპორტსახკომიტეტის თავმჯდომარე ავად ყოფილა, მოადგილე ი. ზუხბაია კი თვითნებურად გაემგზავრა მეგობრებში. აი, სადამდე მიდის თვითნებობა და ფორმალობა. არადა, სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე ამ რეგიონებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს სპორტის ზოგიერთ ხელმძღვანელთა ამგვარი დამოკიდებულება? გარდაქმნა გვარჩაობს!

## ამუშავდა გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი

ბაგასიონის განტობებზე, ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე პატარა ქართული სოფელი გუდაური მსოფლიოს წამყვანი სამთო-სათხილამურო კურორტების ორბიტაზე მოექცა. მცხეთა-გუდაურ მზე ვერას აკლუბს მეტრნახევრიან, ორმეტრიან თოვლის საფარს, რომელიც ოქტომბრიდან მაისის დამდეგამდე დღეს მთის ფერდობებზე — აქ ერთდროულად 15 ათას დამაინს შეუძლია თხილამურებით სარგობა.







მპლექსი. 320-ადგილიან ოტელს აქვს დახურული საჩოგბურთო კორტები და აუზი, კინოსკონცერტო დარბაზი, საუნა. მოთხილამურენი ოთხი საბაგირო გზით აღიან სასტუმროდან სტარტის ადგილამდე, ფინიში კი პირდაპირ ოტელის ზღურბლთან არის მოწყობილი. გუდაურში ზაფხულობითაც შეიძლება დასვენება. სტუმრებისთვის ეწყობა ტურისტული ლაშქრობები ხლისა და დარიალის ხეობებში, ცხენებით სეირნობა, თევზაობა მთის ტბებსა და მდინარეებზე.



სურათზე: ზევით — სამთო-სათხილამურო კომპლექს „გუდაურის“ სახეივო გახსნა; ქვევით (მარცხნიდან) — ახალი სასტუმრო „გუდაური“, საბაგირო გზით — სათხილამურო ტრაასების სტარტებისაკენ; დახურული საჩოგბურთო კორტი; საცურაო აუზი სასტუმროს პერქვეშ.

მ. ლათიაშვილის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა სპეციალურად „ლელოსთვის“).



# კუს ტბა: ახალი სივრცის დასაწყისი

**ამაგზენ**, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ობიექტს, რომლის შესახებაც გვინდა ამ წერილში მოგითხროთ, სრულ დამთავრებამდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ მინც დარწმუნებული ვარ, რომ კარგი ამბავი უნდა გაცნობოთ: 3 აპრილს, სწორედ ჯანმრთელობის დღესასწაულზე, გაიხსნა კუს ტბის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.



ახალი კომპლექსის დერეფანში.

და იმისათვის, რომ მკითხველმა ჩვენი ნათქვამიდან ნახა რეალური დასკვნა არ გამოიტანოს, აქვე ვაძვინტებთ: სრულ მზადყოფნაშია კომპლექსის ბევრი მნიშვნელოვანი კვანძი, ხოლო სამუშაოთა დარჩენილ ნაწილში მისი საბოლოო კეთილმოწყობა იგულისხმება. გაპირებული, პირდაპირ „მართონული“ მშენებლობა ბოლო ხანს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და აი, მისი შედეგები: ნებისმიერი მოვარჯიშე, რომელიც პირველად მივაქიბავს კუს ტბის კომპლექსს, სწრაფად ფაქტურად პირველი დათვალიერებით დარწმუნდება, თუ რა მნიშვნელოვანი გამაჯანსაღებელი ობიექტი შეემატა თბილისს.

კუს ტბის შემოგარენს, მის შესანიშნავ მიკროკლიმატს, ასე აღტაცებით რომ ლაპარაკობს ყველა, ბევრი თბილისელი კარგად იცნობს ტბის მოვარჯიშეებიც აქიბთხვევნი და მოსეირნეებიც. მაგრამ ქალაქიდან ერთი ხელის გაწვდენაზე მდებარე ბუნების ეს მარგალიტი მრავალი წლის მანძილზე „მართლაც თვითნაბადი“, „დაუწახანავებელი“ ძვირფასი თვალივით იყო — გინ როგორ ისარგებლებდა. რა თქმა უნდა, იყო ტბაზე ორგანიზებული დასვენებისა და გართობის ჩამოყალიბებული სისტემის შექმნის ცდებიც, მაგრამ ისინი უდღეურო გამოდგა. უფრო სიცოცხლისუნარიანი ამ ტერიტორიაზე... რესტორანი აღმოჩნდა.

ახლა კი... თუმცა აქ უმჯობესია


სიტყვა კომპლექსის დირექტორს რევაზ ზანდუელს მივცეთ.

— „კომპლექსის მშენებლობაში სამი ეტაპი განსაზღვრულია: პირველი — ყველაზე მთავარი, უკვე დამთავრდა და ამით სამუშაოება მოგვეცა ჩვენი ძირითადი საქმიანობა დაგვეწყოს. პირველ ეტაპად დავსახეთ არსებული ნაგებობების წესრიგში მოყვანა და სრულად ვამოყენება. ამ შენობებში ბევრი რამ გაკეთდა...“

შემდეგ კი ყველაფერი, რაც დირექტორმა ჩამოგვითვალა, თვითონ დავათვალიერეთ: კარგად მოწყობილი ფუნქციონალური დიავნოსტიკის და ფიზიოთერაპიის რამდენიმე კაბინეტი, საუნა, გასახდელები, საშხაპები, ორი დარბაზი, შესამე, უფრო მომცრო — სამკურნალო ფიზკულტურისათვის... გარედან ცოტა უსახურ შენობას მგეტად მყუდრო და მოხერხებული ინტერიერი აღმოაჩნდა... — მეორე ეტაპი ითვალისწინებს სპორტული მოედნების, კერძოდ ორი საჩოგბურთო კორტის, მინიფეხბურთისა და საბავშვო სპორტული მოედნის მოწყობას — განაგრძო რ. ზანდუელმა, თან ამ ბაზების ლაზში მაკეტი წარმოგვიდგინა, — ამ პროექტის, ისევე როგორც მთელი კომპლექსის დაგეგმარების ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორთა ჯგუფი, რომელსაც ოთარ ლითანიშვილი ხელმძღვანელობს. შემთხვევით ვისარგებლებ და გეტყვით, რომ ჩვენი კომპლექსი ქალაქის დიზაინსა და კეთილმოწყობის სამმართველოს ექვემდებარება, რომლის უფროსიც გახლავთ ოთარ ლითანიშვილი. მოედნების მშენებლობა ნოემბერში უნდა დამთავრდეს... ცალკე უნდა ვთქვა იმ დიდ დახმარებაზე, რომელსაც გვიწვედა ქალაქის საბჭოს აღმასკომი. ჩვენი შეფი კი ქალაქის სპორტკომიტეტი.

მშენებლობის მესამე ეტაპი ითვალისწინებს ტბის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობას. ეს მომდევნო პერიოდის ამოცანაა.

**კომპლექსის ფუნქცია სახელწოდებიდანაც გასაგებია. მაგრამ იქნებ უფრო დაწვრილებით მოგეთხროთ ამის შესახებ?**



სატრენაჟორო ოთახი.

— ასეთი ობიექტის წმინდა სპორტულ ბაზად გადაქცევა, ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იქნებოდა, ქალაქიდან გამოაცალკეებდა და უფრო ერთეულებისათვის იქნებოდა ხელმისაწვდომი, ვიდრე ხალხისათვის. მაგრამ იგი არც დასვენების ზონაა კარუსელებითა და ატრაქციონებით. კომპლექსი, ისევე, როგორც მიმდებარე ტერიტორია, აღამიანების გაჯანსაღებასა და დასვენებას მოემსახურება. არსებული ნაგებობები საშუალებას იძლევა მრავალი გამაჯანსაღებელი სააბონემენტო ჯგუფი გაეხსნათ. უკვე მზად ვართ ოთხნაირი სააბონემენტო მომსახურებისათვის. ერთი, ვთქვათ ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულთათვის — ჯგუფს ეყოლება ექიმი, მეთოდისტი, ისარგებლებს საუნით და ა. შ. იქნება სხვა ჯგუფებიც: აბონემენტების ფასი 7-დან 18 მანეთამდე... დირექტორი ავტორიტეტული სპეციალისტების გვერდით იჭდა და შესაძლოა ამის გამოც უფრო იმედიანად ლაპარაკობდა. მართლაც, ისინი არ იყვნენ საბატიო სტუმრად მიწვეული ხალხი.

— ჩვენ კომპლექსის ხელმძღვანელთან ხელშეკრულება დავდეთ ურთიერთდახმარების შესახებ, — გვითხრა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რეაბილიტაციისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის გამგემ დიმიტრი წვერაგამ, — მართალია, აქ ექიმთა უმეტესობა შტატი ჰყავთ, მაგრამ ჯერჯერობით ვინ იცის, რამდენი ვარჯიშის მსურველი ამოვა აქ და კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. მით უმეტეს, ჩვენს ინსტიტუტში ბევრი გამოცდილი ექიმია სწორედ სამკურნალო ფიზკულტურის განხრით და მათი ცოდნა აქ, ადგილზე, დიდ სამსახურს გაუწევს გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრებს. გადაქარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქვემოთ ყველა მოვარჯიშეს მივცეთ კომპლექსის რევერა, ცალკე თუ მთლიან ჯგუფს. იოგას ვარჯიშებში კონსულტანტი, აგერ, ბატონი ალექსი იაკობაშვილი იქნება. მისი ავტორიტეტი ამ დარგში, მით უმეტეს გამოქვეყნებული წი-

გნებისა და პუბლიკაციების შემდეგ, ექვს აღარ უნდა იწვევდეს. მე პირადად ვარჯიშის ყველა სახე მიმჩნია სასარგებლოდ, კუბერის სისტემა, ძუნძულით სირბილი, სიარული და სხვა. აქ პრიორიტეტის მინიჭება არ შეიძლება. მთავარი ისაა, ყველაფერი სწორად, გონივრულად სრულდებოდეს...

დირექტორი წვერაგამ იქვე ერთი საინტერესო პიროვნება გაგვაცნო: სიუენ ჩო-ჩანი. ბატონი ჩო-ჩანი, როგორც უკვე მიხვდით, ეროვნებით ჩინელია და უკვე 24 წელიწადია ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს, ჩიუნის ჯგუფებს უხელმძღვანელებს. რომელიმე აღმოსავლური ვარჯიშის ეგზოტიკური სახელოდების გაგონებაზე ხშირად ურწმუნოდ იღიმებიან, მაგრამ ჩიუნის (და სხვებიც), რომელსაც 4 ათასწლიანი ისტორია აქვს, ასევე ექვს არ იმსახურებს, ისევე როგორც მწვრთნელის კვალიფიკაცია, განმტკიცებული სათანადო საბუთით. ჩიუნმა, რომელსაც ადრინდელ ეპოქაში უფრო ჩინეთის არისტოკრატია მისდევდა, ბოლო წლებში მეორე სიცოცხლე შეიძინა ამ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირში სულ ერთი-ორი ჯგუფი არსებობს და იმათაც სიუენ ჩო-ჩანის ყოფილი მოწაფეები უძღვებიან... ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს კი უკვე ორი ნაშრომი აქვს გამოცემული ვარჯიშის ამ მეთოდზე და პრაქტიკულად იყენებენ ავადმყოფთა მკურნალობაში.

როგორც რევაზ ზანდუელმა გვითხრა, შაბათობით და კვირობით კომპლექსებს ეწვევიან ცნობილი კარდოლოგები, რომელთაც კვალიფიციური კონსულტაციებით ალბათ ბევრი აღამიანი დაინტერესდება.

— „ჩვენში მეტად საჭირობოტო პრობლემა რჩება ზედმეტი წონა, — განაგრძობს დირექტორი, — ეს მართო უმოძრაობით კი არა, ხშირ შემთხვევაში ნივთიერებათა ცვლის დარღვევითაა გამოწვეული. ამიტომ შტატი ექიმი ენდოკრინოლოგიც გვყავს. ასე რომ, კვების რეჟიმის და დიეტებისათვის ხალხს სხვაგან არ მოუხდება სიარული“.

კომპლექსის კარი ფაქტურად მთელი დღე იქნება დია მისვლელთათვის: დილის რვიდან საღამოს 10 საათამდე. მისი 90-კაციანი პერსონალი ორ ცვლაში იმუშავებს, ტრანსპორტის საკითხი კი ჯერჯერობით ასეა გადაწყვეტილი. ბაგების დასაწყისიდან კუს ტბამდე ივლის კომპლექსის ავტობუსი, რომელიც აბონემენტების მფლობელებს უფასოდ მოემსახურება.

რაც შეეხება ამ რესტორანს და საერთოდ კვების ბლოკს, ასეთი მდგომარეობა: რესტორანი დაიხურა, ხოლო რას გახსნიან გამითავისუფლებულ შენობაში, ეს ჯერ არავინ იცის. ჩვენ რომ გადმოგვეცნა, სპორტულ კლუბს

მოვაწყობდით, — თქვა რ. ზანდუელმა, — კვების ბლოკის მაგივრად კი ჯერჯერობით ერთი ბუფეტი გვიწევს“.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ კომპლექსზე იქნება ბავშვთა ჯგუფები. „მართალია, მათთვის სპეციალური წრეების ჩამოყალიბება ჯერჯერობით არარეალურად მიმაჩნია, — აგრძელებს დირექტორი, — მაგრამ აქ სავარჯიშოდ ამოსულ მშობლები, იმედია, კმაყოფილდარჩებიან იმით, რომ მათი ბავ-



სიუენ ჩო-ჩანი.

შეები საერთო ჯგუფში იქნებოდა კვალიფიციური მწვრთნელ-პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

ისიც მინდა გითხროთ, რომ ჩვენ ვაპირებთ სპორტულ ინვენტარს მავიდოს ჩოგბურთისა და ბადმინტონის სათანადოდ. აწლობით შეწყვეტილი იყო ნაგებობის გაქირავება და ჩვენ ამასაც მოვებით თავი. ტბაში ცურვის საშუალება კი ჯერ არ არის: მას, როგორც ცნობილია, ადრე მტკვრის წყლით ავსებდნენ და ძალია დაბინძურებულია. ჩვენ ასევე „მომარაგებაზე“ უარს ვთქვით და სულ რაღაც 8 თვეში წყალი ორჯერ უფრო სუფთა გახდა. მომავალ სეზონში კი ტბაზე მოხანვევებსაც ნახავთ“...

მკითხველს ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იქნებ შთაბეჭდილებდარჩა, რომ ჩვენ კუს ტბის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ერთგვარი სარეკლამო პროსპექტი წარმოგვადგინეთ, მაგრამ გვინდა დავარწმუნოთ, რომ იგი საკუთარი თვალით ვნახეთ ყველა პირობები, რასაც სერვისი ქვეყნის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობაში. ამ „პროსპექტში“ გარეგანი სახე მის შინაარსს რომ პასუხობდეს ეს, პირველ ყოვლისა, კომპლექსის პერსონალზე, იმ მომუშავე მუშაკებზეა დამოკიდებული.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## +1 ალპიანისთვის ზრუნვით

**ზუაფილის** რაიონის სოფელ რუხში მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული კომპლექსი. პირველი სპორტის მოყვარულები უკვე მიიღეს ჩოგბურთის კორტებმა, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებმა, სპორტული ცენტრის მშენებლობა კოლმეურნეობას თითქმის ხახვივარი მილიონი მანეთი დაუტარა, მაგრამ ადამიანებისათვის ზრუნვა ასამაგდ ნაზღაურდება.


ბოლო წლის შესამჩნევად შემცირდა მოსახლეობის მიგრაცია, — გაგვიზიარა სიხარული კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზურ თოლუამ, — ახალგაზრდობა სოფელს უბრუნდება. სპორტული კომპლექსის გარდა, ჩვენთან მოქმედებს ორი კულტურის სახლი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სტუდია, სხვადასხვა წრე და სექცია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. (საქინფორმი).

## შეჯიბრება დაითავრდა — შეჯიბრება გრძელდება

**კიდე** ერთი დღით გადაიდო უამინდობის გამო საერთაშორისო შეჯიბრება „გუდაურის გაზაფხული“. გვირას ეს ასპარეზობა სწრაფდაშვებაში შეჯიბრებით დასრულდა. მონაწილეები ამ დღეს ორ-ორჯერ გამოვიდნენ სტარტზე. პირველმა დაშვებამ ვაეებში ორი გამარჯვებული გამოავლინა — საბჭოთა მოთხილამურე ა. მასლოვი და ავსტრიელი ჰ. რენეაკი. ორივეს დროა 1.58,54.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების ლიდერმა, წაღვერელობა გია ორჯონიკიძემ ტრასა ვერ დაამთავრა. დანარჩენი მონაწილეები კი ბოლო ადგილებს დასჯერდნენ: გელა კოზანაშვილი — 48-ე (2.07,22), ზურაბ ბასარია — 50-ე (2.09,20). რამაზ გიჩიოვი — 51-ე (2.10,88), ლევან აბრამიშვილი — 52-ე (2.11,54), გია ხაზარაძე — 53-ე (2.11,57). მეორე დაშვება აშკარა უპირატესობით მოიგო ა. მასლოვმა — 1.58,99, პ. რენეაკი ამჯერად მეორე იყო — 2.00,04. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან სხვებზე უკეთ გ. ორჯონიკიძემ ისპარება — 38-ე ადგილი (2. 05,65).

ქალთა შორის გამარჯვებულთა კვარცხლბეკი (ორივე დაშვების შედეგად) მთლიანად საბჭოური იყო. გამარჯვება მოიპოვეს ნ. ბელოსლუდცევამ (1.54,25) და ლ. კედრიონამ (1.54,99). ამ დღეს ქართველ მოთხილამურე ქალთაგან სტარტზე არავინ გამოსულა.



„უცხოელი სტუმრები გამოეთხოვნენ გუდაურს, მაგრამ შეჯიბრება გრძელდება — ჩვენის საუკეთესო სამთომოთხილამურე იმპლიერისის სახელს (ჯერ სპეციალურ სლალომში) შეეცდებიან ერთმანეთს. **ალექსანდრე კანდელაკი**, „ლელოს“ კორ. (ტელეფონით) გუდაური.

**გუშინ** შოთა რუსთაველის სახლობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გაშალა საერთაშორისო შეჯიბრება „გუდაურის გაზაფხული“ აკრედიტებულ ავსტრიელ სპეციალისტთა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა პრესკონფერენციის შემდეგ. გუდაურის სახლობის სტარტების, ამ ახალკურორტის დღევანდლობაზე, მკერსაქეტივებზე მოუთხრეს საკუთარი საგარეო ეკონომიკური პირობების სამინისტროს რწმუნებულმა ჩვენს რესპუბლიკაში რაფელ ელიოვლავიშვილმა, საერთოელოს ადგილობრივი კორორტების სამმართველოს უპროსმა ზეზვა ლულუნიშვილმა რესპუბლიკის სპორტსახკომის თვმჯდომარის მოადგილემ ჯანსუბაგარტონმა და სხვებმა. გაიმართა კონცერტი, რომელშემდეგ სტუმრები გაიქცნენ თბილისის ლირს შესანიშნავობებს. გუშინვე სტუმრები თბილისში გაემგზავრნენ.



